აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 33

19 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ირაკლი გვარამია, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა“ და ,,ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლები, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების შედეგების შეჯამება.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების შედეგების შეჯამება.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსულ არცერთ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმზე საჩივრების განხილვა არ მიმდინარეობს (ოლქებში, სასამართლოში) აღნიშნულიდან გამომდინარე საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე შეჯამებული უნდა იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების და 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი. ასევე კომისიის წევრებს აცნობა, რომ 2008 წლის 15 ნოემბერს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსული იქნა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წერილი, რომლის თანახმადაც, „სამართლიანი არჩევნების“ აჭარა-გურიის რეგიონალური კოორდინატორი მ. ბერიძე აღნიშნავს, რომ №79 ბათუმის საარჩევნო ოლქისა და ამავე ოლქის რამდენიმე საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმებში არ დგება ბალანსი. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნისა და აპარატის იურიდიული სამსახურის მიერ, რის თანახმადაც დადგინდა, რომ ეს იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომები, რაც გასწორებული იქნა №79 ბათუმის საარჩევნო კომისიის მიერ, რის უფლებაც კანონმდებლობის თანახმად აქვს ოლქს.

კომისიის წევრმა, ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს აცნობა, საუბნო და საოლქო კომისიების შემაჯამებელი ოქმების შეჯამებისას დაფიქსირებული შედეგები და კომისიას წარუდგინა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების და 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

(ოქმი თან ერთვის)

მანვე აღნიშნა, რომ 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 293 217, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა იყო 109 696, ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა კი 2 842. ასევე აღნიშნა, რომ 5% ზღვარი გადალახა ორმა საარჩევნო სუბიექტმა („პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატები“). ასევე კომისიას დეტალურად გააცნო 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში დაფიქსირებული არჩევნების შედეგები და შემაჯამებელი ოქმი.

მიღებულია ინფორმაციად.

სხდომაზე განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია